



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N 11**

ქ. ლანჩხუთი

10. 11. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუდავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე. გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რამდენიმე დღეში ოფიციალურად შეუდგება მუშაობას მუნიციპალიტეტის ახალარჩეული მერი, რომელსაც წარმატებები და გამარჯვებები უსურვა როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნისთვის ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. სხვადასხვა.

**დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 17 ნოემბერი , 11:00 საათი.**

ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს და თვითმმართველობის მიერ მიღებულ სამართლებრივ - ადმინისტრაციულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივ ზედამხედველობას აწარმოებს პრემიერ - მინისტრი და მისი აპარატი. სწორედ მათ მიერ იქნა გამოთქმული შენიშვნები, რომ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, არამედ ის უნდა მოგვარდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ბრძანებით. ამდენად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიიღო სამართლებრივი დასკვნა. შემდგომში მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 10048177 ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის 72%-ს შეადგენს. აქედან შემოსავლები /კაპიტალურის ჩათვლით/ მიღებულია 1577546 ლარი, წლიური გეგმის 58%-ი, მ.შ: საშემოსავლო გადასახადი მიღებულია 419949 ლარი გეგმის 76.4%-ი, ქონების გადასახადი შემოსულია 376346 ლარი გეგმის 37.6%-ი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 767151 ლარი წლიური გეგმის 84.5%-ი, მ.შ: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მიღებულია 103553 ლარი, რაც წლიური გეგმის 48.4%-ია. შემოსავლის ზრდის მოლოდინი არ არის და სავარაუდოდ წლის გეგმასთან მიმართებაში გარღვევა დაფიქსირდება 80000 ლარი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების გეგმა შესრულებულია 93.6%-ით. მოსალოდნელია გეგმის გადაჭარბებით, სავაუდოდ 100000 ლარით ზრდა. არ შესრულდება მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და გეგმის შესრულებას დააკლდება 5000 ლარი. არაფინანსური აქტივების კლების წლიური შესრულება შეადგენს 5.4 %-ს, გეგმის შესრულებას 245000 ლარი დააკლდება. შემოსავლების წლიური გეგმის შესრულებაში იქნება 250000 ლარის დეფიციტი. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით ჩარიცხულია 8470630 ლარი - გათანაბრებითი ტრანსფერი 4478400 ლარი, წლიური გეგმის 83,6%-ი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 183000 ლარი, გეგმის 83,2%-ი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 2623368 ლარი, წლიურის 68,6%-ი; გრანტი აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებზე წლიურის 50.0%-ი; მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციოდ გაიხარჯა 1060457 ლარი, წლიურის 66,0%-ი.

საანგარიშო პერიოდში გაწეულია 9603517 ლარის ხარჯი, წლიური გაწეული დაზუსტებული ხარჯების 67,9%-ი: შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1222755 ლარი, გაწეული მიმდინარე /არაფინანსური აქტივების გარეშე/ ხარჯების 20,1%-ი, შტატგარეშე მუშაკების ანაზღაურებაზე გაიხარჯა 176957 ლარი, ხარჯების 2,9%-ი, მივლინების ხარჯებმა შეადგინა 3984 ლარი, ოფისის ხარჯი 213320 ლარია, რაც ხარჯების 3,5%-ია, წარმომადგენლობითი ხარჯი 12613 ლარს შეადგენს /0,2%-ი/, სოც. კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან შექმნილია 1251 ლარის რბილი ინვენტარი, ხარჯის 0,02%-ი; ტრანსპორტისა და ექსპლუატაციის ხარჯებზე მიიმართა 98904 ლარი, ხარჯების 1,6%-ი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 157692 ლარი, ხარჯების 2,6%-ი; სუბსიდირების წესით ა(ა)იპ-ებს ჩაერიცხა 3744998 ლარი, ხარჯების 61,7%-ი; სოციალურ

ღონისძიებებზე მიმართულია 248104 ლარი, ხარჯის 4,0%-ი; სხვა ხარჯების მუხლით გაიხარჯა 255201 ლარი, ხარჯის 4,2%-ი; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 3328884 ლარი, ხარჯის 23,5%-ი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირებისათვის გაწეულ იქნა 563178 ლარის ხარჯი ანუ ბიუჯეტით გაწეული ხარჯის 3,9%-ი; მუნიციპალიტეტის გამგეობის ფუნქციონირებისათვის გაწეული იქნა 1146605 ლარი, ბიუჯეტის ხარჯების 8,1%-ი; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე მიიმართა 82027 ლარი, ხარჯების 0,6%-ი; დასუფთავების და ნარჩენების გატანაზე მიიმართა 462242 ლარი, ხარჯების 3,2%; გარე განათების მოვლის ღონისძიებაზე 317321 ლარი, ხარჯების 2,2%; გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯზე 119445 ლარი, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის შენახვაზე გახარჯულია 202699 ლარი-1,4%-ი; ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი დაფინანსდა 1360077 ლარით, ხარჯების 9,6%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის სპორტული ცენტრის დაფინანსებაზე 267909 ლარი, ხარჯების 1,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 118809 ლარი შეადგინა, ხარჯების 0,8%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო საფეხბურთო სკოლის დაფინანსებამ 49910 ლარი, ხარჯების 0,35%-ი; ა(ა)იპ მუნიციპალური საფეხბურთო კლუბი გურიას დაფინანსება 86946 ათ. ლარია, ხარჯების 0,6%-ი; შპს „ლანჩხუთი“-ს დაფინანსებამ - 82000 ლარი, ხარჯების 0,57%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსებამ- 691014 ლარი, ხარჯების 4,88%-ი; სოც. კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე - 44540 ლარი, ხარჯების 0,31%-ი; რელიგიის მხარდაჭერის პროგრამაზე მიიმართა 40000 ლარი, ხარჯების 0,28%-ი; ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებაზე გაიხარჯა 82587 ლარი, ხარჯების 0,65 %-ი; მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე გაიხარჯა 67997 ლარი, ხარჯების 0,48%-ი; სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე გაიხარჯა 269843 ლარი, ხარჯების 1,9%; ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსებაზე გაიხარჯა 3535781 ლარი, ხარჯების 25,0%-ი.

2017 წლის 1 ოქტომბრისათვის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ მიღებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები, სულ ჯამში 93 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა და შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ წარმოდგენილი 9 ცალი ყოველთვიური ანგარიშის ფორმა. ასევე მიღებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი 11 ცალი კვარტლური ბალანსის ფორმები. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ აღნიშნული

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმები შედარებული იქნა ა(ა)იპ-ების და შპს მიერ წარმოდგენილ წლიურ ხარჯთაღრიცხვებთან და მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის I, II და III კვარტლის ბალანსების, ყოველთვიური ანგარიშგების ფორმების მიღება-დამუშავებაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 692119 ლარს. ცენტრალური ბიუჯეტით დაფინანსებული შესყიდვების გეგმის ჯამი შეადგენს 5422577 ლარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვარის გათვალისწინებით 2017 წლის 9 თვის განმავლობაში სულ გამოცხადებულ იქნა 27 ტენდერი, არ შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 2-ს. ორივე ტენდერი გამოცხადებული იქნა მრავალფუნქციური პრინტერის შესყიდვის მიზნით. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით შეწყვეტილი იქნა ორი ტენდერი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა 242375 ლარის ეკონომია. ინფორმაცია ტენდერების შესახებ ასახულია დანართი №1-ში. ტენდერის საშუალებით გაფორმებული იქნა 23 ხელშეკრულება. სულ 2017 წლის 9 თვის განმავლობაში განყოფილების მიერ გაფორმებული იქნა 170 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამუშაოების შესრულების მიზნით გამოყოფილია 2907178 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იქნა 1607000 ლარი. გამოყოფილ თანხაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები. სამუშაოები მიმდინარეობს ვადის დაცვით.

წლის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტში არსებული დეფიციტის შემცირების მიზნით აღებული ვალდებულებების მაქსიმალურად დაფინანსების უზრუნველყოფის მისაღწევად უნდა გატარდეს კონკრეტული ღონისძიებები. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვით მიღწეული უნდა იქნას: არასასოფლო - სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადასახადის მაქსიმალური მობილიზების უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის მობილიზება, ადგილობრივი რესურსების მიწის და სხვა ძირითადი აქტივების რეალიზაციის შედეგად გეგმის შესრულების დეფიციტის მაქსიმალურად შემცირება. ამასთან, დარჩენილ პერიოდში გასაწევი მიმდინარე ხარჯების შემცირება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების დაზიანებული 55 ნათურა არის შესაცვლელი. მისი ინფორმაციით, გარე განათების ნათურები შესაცვლელია მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. იგი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არის თუ არა სახსრები, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიცვალოს დაზიანებული გარე განათების ნათურები.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხია**მ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულმა ა(ა)იპ-იმ „ტექსერვისი“ წარმოადგინა დაანგარიშებული მოთხოვნა დაფინანსების გაზრდის თაობაზე 13 000 ლარის ოდენობით, რაც მუნიციპალიტეტის

საკრებულომ დაამტკიცა. აღნიშნული ა(ა)იპ-ი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული დაფინანსებიდან მსგავსი ხარჯების გაღება წლის ბოლომდე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა თუ როგორია 2017 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შეფარდება გასული წლის ბიუჯეტის პარამეტრებთან და რა შემოსავლებს ელოდება მუნიციპალიტეტი წლის ბოლომდე.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, არის კომპანიები რომლებთანაც ქონების გადასახადის ამოღება გართულებულია, თუმცა იმედოვნებს რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოვა დაახლოებით 500 000 ლარი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძის** თქმით, დეტალურად ასაბუთებდა, რომ მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი არ შესრულდებოდა და ფაქტია, ასეც მოხდება. რატომ უნდა შესრულებულიყო 2017 წლის ბიუჯეტი, როცა მუნიციპალიტეტის, 2015, 2016 წლის ბიუჯეტი არ შესრულებულა. ეს არის იმ კაცის არაბიუჯეტური და ცინიკური აზროვნების ბრალი, რომელსაც წლების განმავლობაში ჩიხში შეყავდა მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი. დეპუტატი იმედოვნებს, რომ მუნიციპალიტეტის ახალი მერი დასახავს ყველა მართებულ გზას, რათა მუნიციპალიტეტი ამ ჩიხიდან როგორმე გამოვიდეს. მისი თქმით, ეს არ იქნება მარტივი პროცესი, რადგან მემკვიდრეობა დარჩა მძიმე, რომლის გამოსწორებასაც გარკვეული წლები დაჭირდება. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ში კორუფცია დუღს, რაც მხოლოდ ფულის აღებით არ გამოიხატება. როცა ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებს აუფრიალებს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, დარიბაშვილის მიერ გამოცემულ განკარგულებას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ში და არა ადგილობრივ თვითმმართველობებში და მათდამი დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ში რაიმე სახის შემცირებების განხორციელებას, ესეც კორუფციაა.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ წლების მანძილზე ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების არასწორი დაგეგმვა, რაც იმთავითვე იყო განწირული შეუსრულებლობისთვის. საკრებულოს წევრებს რომ გამოეჩინათ უფრო მეტი კატეგორიულობა, პრინციპულობა, მაშინ ვერავინ თავს ვერ მოახვევდა თავს თავის აზრებს და ბიუჯეტი უფრო შესრულებადი და კეთილშობილი იქნებოდა. მისი თქმით, თურმე ახლა გახდა ცნობილი, რომ ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების მუხლი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებიდან არ შესრულდება. იმთავითვე იყო ნათელი, რომ აღნიშნული მუხლი იყო მეტისმეტად გაწეილი და შეუსრულებადი. ამიტომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს როგორც იმ დროინდელმა გამგეობის პირველმა პირმა, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ყველა საკითხში უსიტყვოდ ეთანხმებოდა. (რამდენიმე დეპუტატის გარდა).

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების მუხლი რომ 100 პროცენტით ვერ შესრულდებოდა, წინასწარ იყო ცნობილი, მაგრამ ეს რომ არ გაკეთებულიყო, მაშინ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის დაალოებით 500 000 ლარი მუნიციპალიტეტს დაეკარგებოდა, რაც მისი თქმით არ იქნებოდა მართებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, არის თუ არა დასაშვები, რომ მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი არ შესრულდეს.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ბიუჯეტი არის მეტად დამაბული, მაგრამ იმედს გამოთქვამს, რომ ბიუჯეტი შესრულდება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნიგვზიანის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქმედ წყლის ნაგებობებზე მომუშავე თანამშრომლები, რომლებზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ობიექტის ტექნიკური მხარე და რის გარეშე წყლის მიწოდება ვერ განხორციელდება, დარჩნენ უხელფასოდ. აქედან გამომდინარე, რამდენიმე სოფელი წყლის მიწოდების საშიშროების ქვეშ არის დარჩენილი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ 2018 წლიდან საჯარო სამსახურში თანამშრომლებს ენიჭებათ საკლასო ჩინი, ხორციელდება რანგირება. მისი თქმით, 2017 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე საკრებულოს ექნება შესაძლებლობა თვისი სახელფასო ფონდიდან აპარატისთვის რანგირების მიხედვით მოახდინოს ხელფასის მატება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დიფერენცირებული მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, რაც გარკვეულ უხერხულობას გამოიწვევს. იგი დაინტერესდა, ამ მიმართულებით 2018 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იქნება თუ არა გათვალისწინებული შესაბამისი სახსრები, რათა საკლასო ჩინის მინიჭებასთან ერთად მოხდეს შესაბამისად ხელფასის მატება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკლასო ჩინის მინიჭება არის მთავრობის გადაწყვეტილება და მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს კანონი რანგირებასთან ერთად მოახდინოს თანამშრომლებზე ხელფასის მატება.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**ცნობად იქნეს მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ ანგარიში.**



## სხვადასხვა:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ აზიურმა ფაროსანამ მნიშვნელოვნად დააზარალა მუნიციპალიტეტი. მოსახლეობა ფაქტობრივად მოსავლის გარეშე არის დარჩენილი. იქნებ მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით მიემართოს ცენტრალურ ხელისუფლებას მოსახლეობისთვის საკომპენსაციო თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო

